საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბორენა

ბორენა, XI ს. პოეტი ქალი. მიეკუთვნება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰიმნი, დახვეწილი რითმებით გაწყობილი იამბიკო, წარწერილი მარიამ ღვთისმშობლის ხატის ზურგზე (სვანეთი, ლენჯერის ეკლესია). ჰიმნის ბოლო, მეხუთე ტაეპში თვით ავტორია მოხსენიებული: „ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმრავალი“. ზოგი მკვლევარი მას ბაგრატ IV-ის მეუღლედ, ბორენა დედოფლად (XI ს.) მიიჩნევს. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ იამბიკოს ავტორია არა XI ს. მოღვაწე პოეტი ქალი, არამედ ცოტნე დადიანის მეუღლე, რ-იც XIII ს-ში ცხოვრობდა.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., რამდენიმე ახალი ფურცელი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან, წგ.: რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, წგ. 1, თბ., 1970; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ს. ცაიშვილი